

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის

მ ი ს ი ა

**თბილისი
2010**

სარჩევი

I პრემიუმულა	3
II. მისიის არსი	6
III. განმარტებები	12

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის

მ ი ს ი ა

I პრეამბულა

კერძო სამართლის იურიდიული პირის – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მისიის წინამდებარე რედაქცია გააზრებულია გლობალური და, მასთან მიმართებით, ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური და კულტურული (ფართო გაგებით) რეალობის გათვალისწინებით. ის სრულად ასახავს უნივერსიტეტის ძირითად დანიშნულებას, ეყრდნობა რა საქართველოს კანონს “უმაღლესი განათლების შესახებ”, ახალ საგანმანათლებლო მოთხოვნებს და 17-წლიან აკადემიურ და კვლევით გამოცდილებას.

ახალ დოკუმენტში, დაზუსტებულია უნივერსიტეტის საქმიანობის სპეციფიკა დანიშნულება, ფუნქციები: მკაფიოდ არის ასახული უნივერსიტეტის განვითარების ეტაპები ისტორიულ და თანამედროვე კონტექსტში, მოცემულია დაგროვილი გამოცდილებით გამოკვეთილი ძლიერი მხარეები და, აქედან გამომდინარე, მისი საგანმანათლებლო, კვლევითი და საზოგადოებრივი ფუნქციის განხორციელების სტრატეგიული ხედვა.

მისიის ტექსტის გაგების გაადვილებისა და თემატური ორიენტაციის მიზნით დოკუმენტი დაყოფილია თავებად, რომელიც აღინიშნება რომაული ციფრებით და დაყოფილია ქვეთავებათ. ეს უკანასკნელი აღნიშნულია არაბული ციფრებით.

უნივერსიტეტის მისია ფუნდამენტური დოკუმენტია, რომელსაც ეყრდნობა უნივერსიტეტის საქმიანობა. ამავდროულად, ის არ არის დახურული და ექვემდებარება კორექტირებას ახალი ფაქტორების გათვალისწინებით.

1. გლობალური ისტორიული კონტექსტი

ქართული უნივერსიტეტის დაფუძნებას, გასული საუკუნის 20-იან წლებში, გერმანული უნივერსიტეტის მოდელი დაედო საფუძვლად. მას უნდა მოეხდინა ეროვნული სახელმწიფოებრიობის იდეის შერწყმა აკადემიურ თავისუფლებასთან და არარსებული სახელმწიფოებრიობის პირობებში დაეცვა ქართველი ერის კულტურული იდენტურობა და ღირსება.

საბჭოთა პერიოდმა ქართული უნივერსიტეტი ისტორიული განვითარების ლოგიკური კონტექსტიდან ამოაგდო და მისთვის არაორგანული, იდეოლოგიური ფუნქციის შესრულება დააკისრა, ხოლო პირველადმა ფუნქციამ – ლატენტურ პლასტში გადაინაცვლა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქართული უნივერსიტეტის განვითარების ვექტორმა გვერდი აუარა გლობალური საზოგადოებრივი დებატების პროცესს, რომელიც, არსებითად, აყალიბებდა საზოგადოებისა და ბაზრის დაკვეთას, როგორც საუნივერსიტეტო სისტემის ტრანსფორმაციის ძირითად მამოძრავებელ ფერძს.

ამდენად, ქართული უნივერსიტეტი ასცდა საუნივერსიტეტო სისტემის გლობალური განვითარების ისეთ მნიშვნელოვან ეტაპებს, როგორცაა ინდუსტრიული, პოსტინდუსტრიული და მოდერნისტული უნივერსიტეტების პროექტები, რის გამოც ის სრულიად მოუმზადებელი შეხვდა თანამედროვე ე.წ. გლობალური ინფორმაციული საზოგადოების ეპოქის მოთხოვნებს.

2. ნაციონალური ისტორიული კონტექსტი

1991 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება არასახელმწიფო (კერძო) უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების დაფუძნების შესახებ. ამ გადაწყვეტილებამ საფუძველი მოამზადა ახალი უმაღლესი სასწავლებლების შესაქმნელად.

1992 წლის 4 აგვისტოს დაარსდა კერძო სამართლის იურიდიული პირი – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, რომელიც იმ დროისთვის რეგისტრირებული იყო დამოუკიდებელ უნივერსიტეტ “ალმა მატერის” სახელით.

ამ პერიოდში უმაღლესი განათლების სისტემა არ იყო გამოსული საბჭოური სტანდარტებიდან და კვლავ ძლიერი იყო საბჭოთა საგანმანათლებლო პოლიტიკის ინერცია, რომელიც თავისი ბუნებით ხისტი და კონსერვატიული იყო.

არ არსებობდა არც ახალი საგანმანათლებლო სტანდარტი, რის გამოც საგანმანათლებლო დაწესებულებები იძულებული იყვნენ სახელმძღვანელოდ მიედლოთ ძველი, უნიფიცირებული პროგრამები.

ეს პროგრამები კი სულ უფრო რჩებოდა უკან ქვეყნის სტრატეგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებს.

ეფექტურობას კარგავდა, ასევე, სწავლების არსებული მეთოდები, რაც ნეგატიურად აისახებოდა საგანმანათლებლო ხარისხზე.

3. განვითარება

მაღევე იგრძნო რა უძრაობის ტენდენცია, უნივერსიტეტმა დაიწყო შიდა რეფორმების განხორციელება. სწავლისა და სწავლების პროცესის სიმძიმის ცენტრი ნელ-ნელა გადავიდა სტუდენტზე. ინერგებოდა აკადემიური თავისუფლების პრინციპები; იქმნებოდა სწავლებისა და კვლევის ჰარმონიზაციის პირობები; ჩამოყალიბდა თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავების ერთიანი სისტემა. ამ მიზნით უნივერსიტეტმა სოლიდური ფინანსური რესურსი გამოყო თანამედროვე ტიპის ტექნიკურ-ლაბორატორიული ბაზის შესაქმნელად.

შიდა რეფორმამ თავისი შედეგები გამოიღო. 2002 წელს იუნესკოს განათლების მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამოკვლევით უნივერსიტეტი პროგრესულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის დასახელდა და დასაქმების მაჩვენებლით პირველ ხუთეულში აღმოჩნდა.

ამავე ინსტიტუტის მოხსენებაში ხაზი გაესვა, რომ აღნიშნულ სუთეულში შემავალი ინსტიტუტებიდან მხოლოდ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი დაფუძნებული ადგილობრივი კაპიტალით, დანარჩენი ოთხი კი უცხოური ინვესტიციებით.

ეს ორი ასპექტი გამოკვეთს უნივერსიტეტს როგორც თვითმყოფადსა და სიცოცხლისუნარიანს.

დასავლური საგანმანათლებლო ღირებულებების დამკვიდრებამ დღის წესრიგში დააყენა უნივერსიტეტის სახელის შეცვლის საკითხი. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მოთხოვნით უნივერსიტეტს მიენიჭა ცნობილი ქართველი მოაზროვნის გრიგოლ რობაქიძის სახელი, როგორც სიმბოლო თავისუფალი აზრისა და პროგრესისა. ამრიგად, 1996 წლის აპრილიდან დამოუკიდებელი უნივერსიტეტი “ალმა მატერი” ფუნქციონირებას აგრძელებს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი.

მიუხედავად პროგრესისა უნივერსიტეტი ჯერ კიდევ შორს იყო ევროპული სტანდარტებისაგან: არ შეცვლილა შეფასების სისტემა, ვერ მოხერხდა საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმიზაცია – ისეთი მექანიზმების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა სტუდენტის ინტელექტუალური და შემოქმედებითი რესურსის მაქსიმალურ გამოვლენას და განვითარებას, სწავლისადმი გონივრული მოტივაციის ჩამოყალიბებას.

სურვილი ამ პრობლემების დაძლევისა უნივერსიტეტს არ შენელებია და განაგრძობდა ძიების პროცესს. უნივერსიტეტი დაუკავშირდა უცხოეთის ცნობილ უმაღლეს სასწავლებლებს. ჩამოყალიბდა საერთაშორისო თანამშრომლობის ტრადიციები, რამაც, ცხადია, დიდი როლი შეასრულა სწავლისა და სწავლების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებაში, თუმცა მიღწევები სასურველისგან ჯერ კიდევ შორს იყო.

4. TEMPUS TACIS

განუზომელი აღმოჩნდა Tempus Tacis-ის პროექტის როლი, რომლის განხორციელებაც უნივერსიტეტში 2001 წლის მარტში დაიწყო და გულისხმობდა სწავლისა და სწავლების ევროპული სტანდარტების დანერგვას.

პროექტი მძლავრი სტიმული აღმოჩნდა დაწყებული შიდა რეფორმების ტემპების დაჩქარებისა და კარდინალური ცვლილებების გასატარებლად: ჩამოყალიბდა სრულიად ახალი საგანმანათლებლო კონცეფცია; გამომუშავდა თვისებრივად ახალი მიდგომები სწავლისა და სწავლების პროცესისადმი; შეიქმნა შედეგზე ორიენტირებული აკადემიური პროგრამები, დაინერგა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის ანგლოსაქსური მოდელი.

სტუდენტი იქცა ცენტრალურ ფიგურად, რომლის ინტერესებს დაექვემდებარა უნივერსიტეტის ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური პოტენციალი. სტუდენტმა მოიხსნა სწავლების ობიექტის ფუნქცია და იქცა ახალი აკადემიური სიმბიოზის – სწავლისა და სწავლების პროცესის მთავარ სუბიექტად.

5. ნაციონალური საგანმანათლებლო რეფორმა

2005 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ”, რაც ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემის სრული რეფორმირების საფუძველი გახდა. აღსანიშნავი ფაქტია ის, რომ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მთელი აკადემიური სისტემა, Tempus Tacis-ის პროექტის განხორციელების შედეგად, სრულ შესაბამისობაში აღმოჩნდა ახალი კანონის ძირითად მოთხოვნებთან, მაგრამ, ამავე დროს, კანონი მძლავრი იმპულსი გახდა შიდა რეფორმების დაჩქარებისა და საუნივერსიტეტო მისიის ახლად გააზრებისათვის.

II. მისიის არსი

6. უნივერსიტეტის ფუნქცია და იდენტურობა

უნივერსიტეტი დინამიური აკადემიური სისტემაა, რომელიც თავის ფუნქციას განიხილავს გლობალური და ნაციონალური განვითარების კონტექსტში, საზოგადოებრივ დაკვეთასა და ქართული უნივერსიტეტის იდეაზე დაყრდნობით. მისი ფუნქციის განსაზღვრის მთავარი წყაროა საზოგადოებრივი აქტივობის ის ველები, რომელიც ჩამოაყალიბა ქვეყნის განვითარების რეალურმა კონტექსტმა. ესენია:

- ა) ცოდნის საზოგადოების ფორმირება, სოციალური და პროფესიული მობილობა, რაც განპირობებულია ცოდნაზე დაფუძნებული ნაციონალური ეკონომიკის დამახასიათებელი განვითარებით;
- ბ) გლობალური ტექნოლოგიური და სერვისული ინოვაციების განვითარება და ქვეყნის ეკონომიკის ადაპტაცია ამ პროცესთან;
- გ) ნაციონალური კულტურის, მათ შორის, ბიზნესის განვითარება, რაც წინაპირობას ქმნის საზოგადოების სოციალური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტი თავისი კომპეტენციის ძირითად სფეროებს განათლება და მეცნიერება დაუქვემდებარებს საზოგადოებრივ საჭიროებებს და, ამის საფუძველზე, ჩამოაყალიბებს ახალ ფუნქციურ მიმართულებას – საზოგადოებრივი სერვისი.

უნივერსიტეტი ვითარდება როგორც ინოვაციური ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რაც გულისხმობს გარე ფაქტორებსა და საზოგადოებრივ საჭიროებებზე სწრაფი რეაგირების უნარს, ახალი სერვისული ტექნოლოგიების დანერგვის გზით საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტების ხარისხის სისტემატურ სრულყოფას და მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

7. უნივერსიტეტის დანიშნულება/მიზნები

1. უნივერსიტეტის დანიშნულებაა მოამზადოს ფართო კომპეტენციის მქონე ახალი გენერაციის სპეციალისტები, რითაც ხელს შეუწყობს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისა და, შესაბამისად, ცოდნის საზოგადოების მრავალმხრივი იერარქიის განვითარებას.
2. აღზარდოს არა უბრალოდ კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, არამედ მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების, ეროვნული ცნობიერებისა და ლიბერალური ღირებულებების მატარებელი სუბიექტები, რომლებსაც გააზრებული ექნებათ ქართული და გლობალური კულტურული ღირებულებები.
3. უზრუნველყოს სტუდენტების ზრდის პერსპექტივა, მათი პიროვნული და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობის გაფართოებისა და სამივე საგანმანათლებლო საფეხურის პროგრამების განხორციელების გზით.
4. შექმნას ეფექტური სისტემა სამეცნიერო-კვლევითი სფეროს განვითარებისთვის, რომელიც საფუძველს შექმნის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პოტენციალის გაფართოებისა და ახალი სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის.
5. აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების საფუძველზე შექმნას მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისული სისტემა.

8. უნივერსიტეტის საქმიანობა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს/პრინციპებს

1. სწავლისა და სწავლების პროცესის ლიბერალურობა, დემოკრატიულობა, ღიაობა.
2. მიუკერძოებლობა, კეთილსინდისიერება, მაღალი პასუხისმგებლობა.
3. სწავლა – ჰუმანიზაცია და სოციალური აქტივობა.
4. სტუდენტი – სწავლა-სწავლების პროცესის ცენტრალური სუბიექტი.
5. აკადემიური შეუვალობა და კვლევის თავისუფლება.
6. არჩევითობის თავისუფლება, გამჭვირვობა, სამართლიანობა.

9. უნივერსიტეტის ფუნქციური მიმართულებები

ა) განათლება – სწავლა და სწავლება

უნივერსიტეტი თავისი აკადემიური რესურსის კონცენტრირებას ახდენს საზოგადოებრივი აქტივობის ისეთ სფეროების განვითარების ხელშემწყობისათვის როგორცაა: ბიზნესი, უპირატესად საბანკო-საფინანსო და ტურისტული სექტორი, სამართალი, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები. აქედან გამომდინარე, მისი საგანმანათლებლო სტრატეგია ორიენტირებულია ამ სფეროებში სტუდენტებისათვის რაციონალური ცოდნის გადაცემასა და ზოგადი კომპეტენციების გამომუშავებაზე.

ახალი ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც, ქვეყანაში, მასშტაბური ინვესტირების პროცესით არის სტიმულირებული, საფუძველს ქმნის ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისა და, შესაბამისად, ცოდნაზე დაფუძნებულ შრომის ბაზრის განვითარებისთვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბაზარი სულ უფრო მეტ კვალიფიციურ ადამიანურ რესურსებს ითხოვს, უპირატესად, საშუალო სამეწარმეო რგოლებისათვის. ამიტომ უნივერსიტეტი ანვითარებს საბაკალავრო პროგრამებს, რომელიც მოამზადებს სპეციალისტებს საშუალო რანგის თანამდებობებისათვის.

უნივერსიტეტს კარგად ესმის, რომ დარგების ინოვაციური განვითარებისათვის საჭიროა უფრო დრმა თეორიული ცოდნითა და პროფესიული უნარჩვევებით აღჭურვილი კადრების მომზადება, ვიდრე ამას ბაკალავრის საგანმანათლებლო საფეხური უზრუნველყოფს. ამიტომ, ის პრიორიტეტულად განავითარებს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, რომლის მიზანია კვალიფიციური კადრების მომზადება, მაღალი სამეცნიერო, აკადემიური და მმართველობითი იერარქიისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი სისტემატურად ანავითარებს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს, რისთვისაც ყოველმხრივ ზრუნავს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის სრულყოფისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურობის მიზნით უნივერსიტეტი ანვითარებს პარტნიორულ ურთიერთობას უცხოეთის მოწინავე ინსტიტუტებთან: ქმნის ინტეგრირებულ, ერთობლივ პროგრამებს, ავართოვებს ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობების არეალს დისტანციური სწავლების გზით.

მთლიანობაში, სწავლისა და სწავლების პროცესი ემსახურება ახალი ცოდნის გადაცემისა და მრავალმხრივი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, აგრეთვე, კვალიფიკაციის შეცვლას/ამაღლებას, რითაც უნივერსიტეტი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, სოციალური და პროფესიული მობილობის პროცესის ლოგიკურად წარმართვას.

ბ) კვლევა და კრეატიულობა

უნივერსიტეტი ისწრაფვის განვითარდეს როგორც თანამედროვე საგანმანათლებლო-კვლევითი დაწესებულება. ამ მიზნით თავის ძალისხმევას მიმართავს ინოვაციური კვლევების განვითარებისათვის, რისთვისაც სისტემატურად სრულყოფს კვლევითი მუშაობის მართვის სისტემას და შესაბამის ინსტიტუციურ ბაზას.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის სექტემბერს გამოქვეყნებული პროგრამის მხარდასაჭერად და საქართველოს კანონის “უმაღლესი განათლების შესახებ”, მოთხოვნათა შესასრულებლად უნივერსიტეტი აძლიერებს მუშაობას სწავლა-სწავლებისა და კვლევითი პროცესის ჰარმონიზაციისათვის ხელს უწყობს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა კვლევითი პროექტების განხორციელებას, შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას.

ამით უნივერსიტეტი ხელს უწყობს დარგობრივი მეცნიერებების განვითარებას, ქვეყნის ეკონომიკის ადაპტაციას გლობალური ტექნოლოგიური და სერვისული ინოვაციების პროცესთან, ზოგადად, საზოგადოებრივი კულტურის განვითარებას.

გ) საზოგადოებრივი სერვისი

უნივერსიტეტის ორიენტაცია საზოგადოებრივ საჭიროებებზე გულისხმობს არამხოლოდ მის აკადემიურ და კვლევით აქტივობას, არამედ საკუთრივ საზოგადოებრივ სერვისს, რომელიც თავის მხრივ, ეფუძნება უნივერსიტეტის ინტელექტუალურ რესურსს, მის აკადემიურ გამოცდილებასა და კვლევის შედეგებს. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტი საზოგადოებრივ სერვისს განახორციელებს შემდეგ მიმართულებით:

- ა) კლინიკური და საკონსულტაციო მომსახურება;
- ბ) პროფესიული განვითარება და გადამზადება;
- გ) ექსპერტიზა.

უნივერსიტეტი თავისი აქტივობის ამ კომპონენტის ამოქმედებით, ხელს შეუწყობს მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებას და კეთილდღეობის ამაღლებას.

10. სტუდენტთა მხარდაჭერა

უნივერსიტეტში სწავლისა და სწავლების პროცესი ორიენტირებულია სტუდენტის, როგორც ამ პროცესის სუბიექტის, ინტელექტუალური და შემოქმედებითი შესაძლებლობების სრულ გახსნასა და კარიერისათვის მომზადებაზე.

სტუდენტის ფაქტორის გათვალისწინებით უნივერსიტეტი სისტემატურად განაახლებს და აფართოვებს სასწავლო რესურსებს, უზრუნველყოფს მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნას, ზრუნავს სტუდენტის კვების, ჰიგიენისა და ჯანმრთელობის სერვისის სრულყოფისათვის.

უნივერსიტეტი ყოველმხრივ უწყობს ხელს სტუდენტთა მობილობას, რისთვისაც გარდაქმნის თავის საქმიანობას საგანმანათლებლო პროგრამების ლიბერალიზაციის მიმართულებით, გააძლიერებს მუშაობას უცხოეთის პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების გაფართოებისათვის.

სტუდენტებს გააზრებული აქვთ, რომ უნივერსიტეტთან ერთად, თანაზომიერი პასუხისმგებლობა ეკისრებათ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ამოცანების გადაწყვეტის, ხარისხიანი ცოდნისა და უნარჩვევების შეთვისებისთვის, ამიტომ ისინი მონაწილეობენ უნივერსიტეტის მმართველობითი იერარქიის მუშაობაში. საშუალება აქვთ მონიტორინგი გაუწიონ საკუთარი სწავლის პროცესს, ამავე დროს, შეაფასონ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისი, გამოთქვან საკუთარი დამოკიდებულება პროფესორთა კორპუსის მიმართ. უნივერსიტეტი, თავის მხრივ, ოპერატიულად წყვეტს დასმულ პრობლემებს ან ითვალისწინებს წლის სამოქმედო გეგმაში.

ცოდნაზე დაფუძნებული შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ხარისხიანი განათლების მიცემის მიზნით, უნივერსიტეტი მოიზიდავს ქვეყნის ნიჭიერი და შრომისუნარიანი ახალგაზრდების ფართო ფენებს განურჩევლად ეროვნების და პოლიტიკურ-რელიგიური შეხედულებებისა, რისთვისაც აფართოვებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემას, ხოლო, ხელმისაწვდომობის მიზნით, აყალიბებს მოქნილ ფინანსურ პოლიტიკას.

11. ინსტრუმენტარიუმი

უნივერსიტეტი თავის მისიას განახორციელებს:

საგანმანათლებლო პროგრამებით, რომელიც ემსახურება სტუდენტებში ეროვნული ცნობიერებისა და ლიბერალური ღირებულებების ფორმირებას, მრავალმხრივი აკადემიური და ზოგადი კომპეტენციების განვითარებას, ქართული და მსოფლიოს კულტურული ღირებულების გაცნობიერებას, ქვეყნის ისტორიული, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ტენდენციების გააზრებას გლობალურ კონტექსტში.

ხარისხის მართვის ერთიანი სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიცემას.

სხვადასხვა სახის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებით, რომელიც ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

ადამიანური რესურსებით, რომლის პროფესიული განვითარებისათვის უნივერსიტეტი განახორციელებს პროფესიული განვითარების პროგრამებს.

სასწავლო რესურსით, რომელიც ემსახურება არამარტო სწავლების, არამედ სწავლისა და კვლევების პროცესს.

სამეცნიერო-კვლევითი სისტემის განვითარებით, რომელიც ხელს უწყობს ახალი ცოდნის გენერირებისათვის სათანადო პირობების შექმნას, ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის განვითარებას.

სტუდენტთა აკადემიური და სოციალური მხარდაჭერის პროგრამებით, კულტურული, სპორტული და გასართობი პროექტებით.

საზოგადოებრივი სერვისის სისტემით, რომელიც ორიენტირებულია მოსახლეობის სოციალურ და ინტელექტუალურ მხარდაჭერაზე.

მართვის მოქნილი სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის კოორდინირებულ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

12. უნივერსიტეტის თვითმყოფალობა და გამორჩეულობა

იუნესკოს განათლების მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამოკვლევით, უნივერსიტეტი, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლით, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, პირველ ხუთეულში დასახელდა. ამავდროულად ის ჩაითვადა ეროვნული კაპიტალით დაფუძნებულ ერთადერთ საგანმანათლებლო დაწესებულებად.

უნივერსიტეტი განახორციელებს ინტეგრირებულ/ერთობლივ აკადემიურ პროგრამებს უცხოეთის პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ორი უნივერსიტეტის კვალიფიკაციისა და დიპლომის მინიჭებით.

უნივერსიტეტი, ჯერ კიდევ ეროვნული საგანმანათლებლო რეფორმის დაწყებამდე, პრიორიტეტად თვლიდა სწავლა-სწავლების პროცესში თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაციის აუცილებლობას სიმულაციური და პრაქტიკული მუშაობის მეთოდების გამოყენების გზით. ამან, ერთდროულად, თეორიული ცოდნის მიღებისა და ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი პროფესიული და ზოგადი უნარჩვევების გამომუშავების სისტემას ჩაუყარა საფუძველი.

ამ თვალსაზრისით, ტრადიციულად, ორიგინალურობითა და ეფექტურობით გამოირჩევა ტელეკურნალისტიკის, სტომატოლოგიის, კრიმინოლოგიისა და კრიმინალისტიკის სწავლების სისტემები – ერთ-ერთ თვალსაჩინო შედეგად შეიძლება ჩაითვალოს სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, კურსდამთავრებულთა სერთიფიცირების შედეგების მიხედვით, პირველი სარეიტინგო ადგილის მოპოვება, რაც აღნიშნულია საქართველოს მთავრობის 2006 წლის იანვრის სხდომაზე ჯანდაცვის სამინისტროს მიერ წარდგენილ მოხსენებაში.

უნივერსიტეტი პირველი საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, რომელმაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში, თავის თავზე აიღო არამარტო სწავლების, არამედ სწავლის ორგანიზაციის ფუნქცია. ამ ფუნქციის განხორციელებისათვის ის სისტემატურად განაახლებს სასწავლო რესურსებს სტუდენტის ფაქტორის გათვალისწინებით ქმნის კომფორტულ პირობებს როგორც დამოუკიდებელი სწავლის, ისე გუნდური მუშაობისათვის.

უნივერსიტეტში სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ურთიერთობა აგებულია თანამშრომლობის პრინციპებზე. ჩამოყალიბებულია ურთიერთშეფასების ეფექტური სისტემა, რაც ხელს უწყობს, თვითკრიტიკული, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ატმოსფეროს ჩამოყალიბებას და, შესაბამისად, საკუთარ საქმიანობაში კორექტივის შეტანის მოტივაციის აღძვრას.

უნივერსიტეტში შექმნილია თანამშრომელთა ზრდის პერსპექტივის უზრუნველყოფის სისტემა, რაც ითვალისწინებს:

- ა) პროფესორ-მასწავლებელთა კვლევითი ნაშრომების გამოცემის უზრუნველყოფას უნივერსიტეტის ხარჯით;
- ბ) პროფესიული განვითარების პროგრამების შეთავაზებას, ტრენინგების ორგანიზაციას;
- გ) უფრო მაღალ აკადემიურ თანამდებობაზე გადაყვანის გამარტივებულ სქემას.

III. განმარტება

1. ინდუსტრიული უნივერსიტეტის პროექტი – XIX საუკუნის დასასრულიდან XX საუკუნის 60-იან წლების ჩათვლით წინა პლანზე გამოვიდა სამოქალაქო უნივერსიტეტის იდეა, რომელიც ინდუსტრიული ეპოქის სოციალური პროექტის სახით ჩამოყალიბდა. ამ ტიპის უნივერსიტეტის ძირითადი მახასიათებელი იყო ვიწრო დარგობრივი სპეციალიზაცია და საბაზისო და გამოყენებითი კვლევების განცალკევება.
2. ლატენტურ პლასტში გადანაცვლება – ფარულ მდგომარეობაში გადასვლა ე.ი. იმგვარ მდგომარეობაში (შრეში) გადასვლა, რომელიც რეალურად არსებობს, მაგრამ აშკარად არ მჟღავნდება.
3. კულტურა, ფართო გაგებით – მეცნიერების, განათლების, ხელოვნებისა და სხვა დარგებში საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა და ამ მიღწევათა გამოყენების უნარის გარკვეული დონე საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის.
4. მოდერნისტული უნივერსიტეტი XX საუკუნის დასასრულიდან, საზოგადოების განვითარებაში, თვისებრივად ახალი ტიპის სოციალური ძვრები დაიწყო, რაც, ვარაუდობენ – გლობალიზაციის პროცესის დასრულებით და ნაციონალური საზღვრების გაქრობით უნდა დასრულდეს. ამან, თავის მხრივ, ბიძგი მისცა საუნივერსიტეტო სისტემის, ასევე, თვისებრივი ტრანსფორმაციის პროცესს, რაც გამოიხატა ე.წ. მოდერნისტული ანუ ინფორმაციული საზოგადოების საუნივერსიტეტო მოდელის ჩამოყალიბებით. ის ტექნოლოგიური, ინოვაციური და ეკონომიკური პროექტების რეალიზაციით არის გამორჩეული, შესაბამისად, ამ ტიპის უნივერსიტეტის მისიის არსი შემდგომში მდგომარეობს: მულტიდისციპლინურობა, რეფლექსურობა, განუსაზღვრელობა და საბაზისო ღირებულებები.
5. პოსტინდუსტრიული უნივერსიტეტის პროექტი – XX საუკუნის მეორე ნახევარი ხასიათდება აქტიური დემოკრატიული გარდაქმნებით, რადიკალური პოლიტიკის გატარებით და მულტიკულტურურობით. ამ პროცესებმა წარმოშვა მასობრივი უნივერსიტეტის იდეა, რომელიც პოსტინდუსტრიული საზოგადოების პოლიტიკურ პროექტს განასახიერებდა. ამ ტიპის უნივერსიტეტის მისია მის კოგნიტიურ მოდელში შემდგენიერად არის წარმოდგენილი:
 - ცოდნა როგორც საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის/სისტემის გარდაქმნელი
 - “სასიცოცხლო სამყარო”, როგორც საუნივერსიტეტო კვლევისა და სწავლა/სწავლების ობიექტი.
6. სოციალური მობილობა – ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის ადგილნაცვლობა სოციალური სტრუქტურის ფარგლებში. ერთი სოციალური წრიდან მეორეში გადანაცვლებას უწოდებენ ვერტიკალურ მობილობას, ხოლო ერთსადაიმეათე სოციალურ წრეში ჰორიზონტალურ მობილობას. სოციალური მობილობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია განათლების დონე, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია ცოდნის საზოგადოებისათვის. მაგალითად, ხარისხიანი, მაღალი დონის განათლების მიღების შემთხვევაში შესაძლოა არაელიტარული ან დაბალი/საშუალო სოციალური ფენის წარმომადგენელი აღმოჩნდეს მაღალ/მდიდარ სოციალურ ჯგუფში და პირიქით.

სოციალური მობილობის პროცესი ერთგვარი მოტივაციური საფუძველია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის.

7. ინფორმაციული საზოგადოება – ინფორმაციული საზოგადოება არის ისეთი ტიპის საზოგადოება, სადაც ინფორმაციის შექმნა, დისტრიბუცია, გამოყენება და მანიპულაცია მნიშვნელოვან ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ აქტივობას წარმოადგენს.
8. სასიცოცხლო სამყარო – ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებასთან ადამიანის თანაცხოვრების ველი რეალობის მისეული განცდით (და არა აღქმით), რომელიც ქმნის საერთო ადამიანურ გამოცდილებას და წარმოშვება წინსწრებით ყოველგვარი თეორიული ანალიზისა.
9. ცოდნა – არის შეხედულებებისა და მოვლენების სისტემატიზირებული რიგი გამოხატული კონცეპტუალურ ნიშანთა სისტემით, რომლის აკუმულირებას და/ან გენერაციას ახდენს უნივერსიტეტი.
10. ცოდნის ეკონომიკა/ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა – არის გლობალური სოციალური ფენომენი, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივი დოვლათის შექმნას შრომის ბაზრის მიერ ცოდნის, როგორც სოციალური მოვლენის, ექსპლუატაციის გზით.
11. ცოდნის საზოგადოება/ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება – ასეთად იწოდება საზოგადოება, სადაც უპირველესი საწარმოო რესურსია ცოდნა, ნაცვლად შრომისა და კაპიტალისა. ცოდნის საზოგადოება ქმნის, უზიარებს და იყენებს ცოდნას საკუთარი კეთილდღეობისა და განვითარებისათვის.
12. ჰუმბოლდტიანური უნივერსიტეტი – ამ ტიპის საუნივერსიტეტო სისტემა ჩამოყალიბდა აქტიური სოციალური გარდაქმნების ეპოქაში, რომელიც დამახასიათებელი იყო XIX საუკუნისათვის. ეს გარდაქმნები ემსახურებოდა საზოგადოებაში კულტურული რაციონალიზაციის, სეკულარიზაციისა და კულტურული ნაციონალიზმის ღირებულებათა დანერგვას. ჰუმბოლდტიანური უნივერსიტეტის მოდელიც სწორედ განმანათლებლობასა და იმდროინდელი კულტურული პროექტების განხორციელებას გულისხმობდა. შესაბამისად, ამ ტიპის უნივერსიტეტის მისია იყო: უნივერსალური ცოდნის გენერაცია, სწავლისა და ცოდნის ერთობლიობა, აკადემიური თავისუფლება.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის რექტორი,
პროფესორი

მამუკა თავხელიძე

თბილისი,

20___წლის “_____” “_____”

რეგისტრაციის № _____

